Norwegian Ministry of Foreign Affairs

GCSD

შეხვედრის აღწერა: კითხვა-პასუხის სესია

თარიღი/დრო: 05.11.2020 13:00

მონაწილეები: გოგიტა ღვედაშვილი - ევროკავშირის და სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამების დირექტორი(GCSD);

ქეთევან იმერლიშვილი - ფინანსური მენეჯერი(GCSD);

ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი - კომუნიკაციების მენეჯერი(GCSD);

საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები.

1. **შეხვედრის დასაწყისში GCSD-ის გუნდმა მოკლედ უპასუხა იმ ძირითად კითხვებს, რაც საგრანტო განაცხადის გამოცხადების შემდეგ მიიღო ორგანიზაციამ.**

- პროექტში პრიორიტეტად განსაზღვრულია რეგიონული ორგანიზაციები, თუმცა შესაძლებელია დედაქალაქისა და რეგიონულ ორგანიზაციების თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს პარტნიორობა. საჭიროა, რომ ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდეს რეგიონში/რეგიონებში, თუმცა რეგისტრაცია აუცილებელი არ არის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სასწავლებლებთან თანამშრომლობა არის პრიორიტეტული, მაგრამ არა სავალდებულო.

- თანადაფინანსების მოპოვება შესაძლებელია, თუმცა, სავალდებულო არ არის.

- თუ ორგანიზაციის დარეგისტრირებიდან სრულად არ არის გასული 3 წელი, მას კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

- კოალიციური პროექტების შემოტანა პრიორიტეტულია.

- აუდიტის დასკვნა სავალდებულო არ არის, ეს არის სარეკომენდაციო ხასიათის.

- პროექტში უცხო ქვეყნიდან მოწვეული ექსპერტების/ლექტორების ჩართვა შესაძლებელია, თუმცა, პანდემიასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირება/საერთაშორისო მგზავრობა შეზღუდულია და არ დაფინანსდება. შესაძლოა დაფინანსდეს ექსპერტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჰონორარი.

- თანხმობის ან პარტნიორობის შესახებ წერილი დამაკმაყოფილებელი დოკუმენტია პარტნიორობის დასადასტურებლად.

- ბიუჯეტთან დაკავშირებით არ გვაქვს რაიმე დამატებითი შეზღუდვა გარდა საგრანტო პირობებიში მითითებული საკითხებისა. ამასთან, განაცხადში აღნიშნულია, რომ 5% შესაძლებელია გამოყენებული იქნას ორგანიზაციული განვითარებისთვის, მაგალითად, სწავლება, ორგანიზაციის თანამშრომლების

განვითრების ხარჯები და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი გაითვალისწინებს მსგავს ხარჯს, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი მიზნობრიობის დასაბუთება.

- კერძო პირებს განაცხადის შემოტანა არ შეუძლიათ.

2. შეხვედრა გაგრძელდა კითხვა (Q) - პასუხის (A) რეჟიმში. ქვემოთ წარმოდგენილია ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრის დროს განხილული საკითხები.

Q: ამ დროისათვის, გვყავს 1000-მდე რეგისტრირებული მოსწავლე და, როგორც ორგანიზაციას, ძალიან გვიჭირს თანამედროვე ტექნოლოგიების, აღჭურვილობისა და ელექტრონული სისტემის კუთხით, რომელთა დანერგვაც აუცილებელია ეფექტური კომუნიკაციისთვის. რამდენად შესაძლებელია შემოვიტანოთ განაცხადი აიპ-ის ამ კუთხით გასაძლიერებლად?

A: პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ყველა ფორმის ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა, საზოგადოების მედეგობის ამაღლება და სახელმწიფოს შესაძლებლობების გაძლიერება ამ მიმართულებით. მრავალფეროვანია ამ მიზნების მისაღწევად განსაზღვრული აქტივობების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, თუ თქვენს რომელიმე საქმიანობას აღნიშნული მიზნის ქვეშ გააერთიანებთ და დაასაბუთებთ, შესაძლებელია, მოხდეს მისი განხილვა, მაგრამ მხოლოდ ელექტრონული მიმართულების მხარდაჭერისა და მსგავსი პრობლემების კონტექსტში განაცხადი ვერ მოხვდება იმ პრიორიტეტებში, რაც ამ საგრანტო კონკურსით არის გათვალისწინებული.

Q: ვინ უნდა იყოს ორი რეკომენდატორი? შეიძლება თუ არა ეს იყოს სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და ძირითადად რას უნდა ეხებოდეს რეკომენდაცია?

A: რეკომენდატორი შესაძლოა იყოს თქვენი ყოფილი პარტნიორი, ბენეფიციარი ან დონორი, რომელთანაც გქონიათ შეხება. შესაძლებელია იყოს სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. რეკომენდაციაში ხაზგასმული უნდა იყოს თქვენი პროფესიული შესაძლებლობები, გამოცდილება და რესურსები წარდეგენილი პროექტის

სათანადოდ განხორციელებისთვის.

Q: საკმარისია თუ არა rs.ge-ს პორტალიდან ამობეჭდილი შედარების აქტი?

A: დიახ, შედარების აქტი, rs-დან ამობეჭდილი, დაუმოწმებელი შეგიძლიათ წარმოადგინოთ.

Q: ჩვენი პროექტი ეხება ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას რელიგიური უმცირესობების მიმართ. არის თუ არა ეს რელევანტური?

A: დიახ, ამ გამოწვევებზე მუშობა რელევანტურია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე.

Q: არის თუ არა პარტნიორი ორგანიზაცია სავალდებულო პროექტის განხორციელებისას?

A: პარტნიორი ორგანიზაცია სავალდებულო არ არის.

Q: იგეგმება თუ არა ინდივიდუალური კონსულტაციები?

A: ინდივიდუალური კონსულტაციები არ იგეგმება. დამატებით კითხვებს 14 ნოემბრამდე მეილის საშუალებით ვუპასუხებთ.

Q: შეუძლიათ თუ არა მედია ორგანიზაციებს დაფინანსების მიღება?

A: დაფინანსების მიმღები უნდა იყოს აიპ-ი. თუ მედია ორგანიზაცია დარეგსტრირებულია როგორც აიპ-ი და წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციასაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს დაფინანსება. შპს ვერ მიიღებს დაფინანსებას, თუმცა მედია ორგანიზაციას შეუძლია ითანამშრომლოს აიპ-თან.

Q: ვის გულისხმობთ ექსტრემისტულ ჯგუფებში? შეიძლება თუ არა ეს იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები?

A: ამას აქვს ძალიან ფართო განმარტება. თუ სათანადოდ დაუკავშირებთ პროგრამის მიზნებს, პოტენციურად კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების ჯგუფიც შეიძლება იყოს პროექტის ბენეფიციარი.

Q: რამდენად შესაძლებელია თქვენ მიერ შექმნილი რესურსების (მაგ. სახელმძღვანელოები, კვლევები) პროექტში გამოყენება?

A: ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს ეს მასალები.

Q: ჩაითვლება თუ არა გარკვეული სახის თანადაფინანსება ბენეფიტად პროექტთან მიმართებაში?

A: თანადაფინანსების არსებობა იქნება უპირატესობა საპროექტო განაცხადის შეფასებისას.

Q: თუ ორგანიზაციას არ აქვს ექსტრემიზმის კუთხით პროექტების განხორციელების გამოცდილება, ჩაითვლება თუ არა ეს მინუსად?

A: მნიშვნელოვანია რომ, საპროექტო განაცხადი იყოს კარგად მომზადებული, გვესმის რომ ამ მიმართულებით საქართველოში ბევრი პროექტი არ ხორციელდება, ამდენად მთავარი აქცენტი გაკეთდება საპროექტო განაცხადის ხარისხზე.

Q: მოიცავს თუ არა გრანტი ინფრასტრუქტურის მოწყობას?

A: საგრანტო განაცხადში აღნიშნულია, რომ ინფრასტრუქტურის მოწყობა არ ფინანსდება.

Q: რამდენი განაცხადი ფინანსდება?

A: კონკურსში იმარჯვებს და ფინანსდება მხოლოდ ერთი ორგანიზაცია.

Q: ერთობლივი პროექტის შემთხვევაში იზრდება თუ არა დაფინანსება?

A: გრანტის მაქსიმალური ოდენობა ნებისმერ შემთხვევაში იქნება 100 000 ლარი.

Q: პროექტის განხორციელება კალენდრულად როდიდან შეიძლება განვსაზღვროთ?

A: სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ გაწეროთ 2021 წლის იანვრიდან. პროექტი უნდა იყოს მინიმუმ ექვს თვიანი, მაქსიმუმ ერთ წლიანი.

Q: აუცილებელია, თუ არა თავიდანვე დაინერგოს პანდემიასთან მორგებული აქტივობები და დეტალები წინასწარ გაიწეროს? თუ კოვიდ კრიზისთან დაკავშირებული გარკვეული ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია ბიუჯეტის გადახედვა?

A: აუცილებელია, პროექტი თავიდანვე დაიგეგმოს პანდემიასთან დაკავშირებული

რისკების გათვალისწინებით.

Q: პანდემიიდან გამომდინრე, თუკი პროექტი განსაზღვრული იქნება ვიდეო კონფერენციების სახით, იქნება თუ არა ეს რელევანტური?

A: სავარაუდოდ, მხოლოდ ვიდეო კონფერეციებით, რთული იქნება პროგრამის ყველა პრიორიტეტისა და მიზნის გათვალისწინება. ამიტომ, ვფიქრობ უმჯობესია დამატებითი აქტივობებზეც იფიქროთ. ცხადია შეგიძლიათ მხოლოდ ვიდეო კონფერენციებზე ორიენტირებული პროექტიც წარადგინოთ.

Q: შეუძლია, თუ არა ორგანიზაციას წარმოადგინოს ერთდროულად რამდენიმე პროექტი?

A: დიახ, ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს მაქსიმუმ სამი განაცხადი.